ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 5

ქ. ზუგდიდი *7 ივლისი* **2011** *წელი.*

ერთის მხრივ, *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი „ოდიში“* (შემდგომში „შემსყიდველი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ნინო მამფორიას სახით და მეორეს მხრივ, *ინდ. მეწარმე „მაია სამანიშვილი,"* (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ინდ. მეწარმის მაია სამანიშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი „ოდიში"-ს ბიუჯეტის სახსრებით შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან მხატვრული ფილმის "ბამბაზიის სამოთხე"-ს ჩვენება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. გამარტივებული წესით. CPV 92130000

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია: მხატვრული ფილმის „ბამბაზიის სამოთხე"-ს ჩვენება (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი").

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასყიდი შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს 800 (რვაას) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტი მისი ექსპლოატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში არ გამოავლენს დეფექტებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამოდეს არსებულ სტანდარტებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრი.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისთვის (მიღება ჩაბარება და კანონმდებლობით დაშვებული დოკუმენტი).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6.3 მიღება-ჩაბარება მოხდება მიმწოდებლის ოფისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე.